№ 108

ორშაბათი, 23 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 108

ორშაბათი, 23 მაისი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.


**თავადი დიმიტრი სოლომონის ძე მაყაშვილი, თავადი ნიკოლოოზ შერმაზანის ძე აფხაზი, ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა, თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე** ამით აუწყებენ რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ცოლისას, მეორე—ასულისას, ხოლო მესამე და მეოთხე დისწულისას, **კნეინა მარიამ ნიკოლოოზის ასულის მაყაშვილისას**, აცხადებენ, რომ პანაშვიდი დასაფლავების დღემდე იქნება ყოველ დღე, საღამოს 8 საათზედ, კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლებში.

დღე დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.


## დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“
(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.


### ტფილისი, 23 მაისს

ვერაფერი სამსახური გაუწია თავის დასს ბ-ნმა კეზელმა!... იმის მაგიერად, რომ განემტკიცებინა ოპოზიციის პირველის წარმომადგენლის, თავადის ივანე მაჩაბლის აზრი, რომელ!აც განსვენებულის დიმიტრი ყიფიანის ხსენება დასჭირდა კრებაში, როგორც ერთგულისა და გონიერის მამულიშვილისა, რაიცა, რასაკვირველია, დიდი ხანია აღიარებულია ყველა ქართველისაგან,—ოპოზიციის მეორე წევრმა კეზელმა ძალიან მოინდომა, რომ წინანდელის ორატორის აზრი განსვენებულის ჩვენის წამებულის მოღვაწის შესახებ გაექარვებინა.

ის, რაც ერთს სიკეთედ და დამსახურებად მიაჩნია ქვეყნისათვის, იმას მეორე ჰგმობს და შხამადა სთვლის. უთუოდ ოპოზიციის უმცროსს წევრს, ბ-ნს კეზელს, დაავიწყდა, როგორც შენიშნა თ-დმა ჭავჭავაძემ, რომ დამაარსებელი ბანკისა ჭავჭავაძე-კი არ არის, რომლისთვისაც იყო ნახსენები ეს შხამი და მრავალი სხვა საშინელება, რომელიც ვითომდა მოუვლინა ჩვენს თავად-აზნაურობას ბანკმა, არამედ პირველი სულის ჩამდგმელი და მამა ამ დაწესებულებისა არის განსვენებული დიმიტრი ყიფიანი.

ჩვენ გვესმის სადასო ოინი, ისეთი ოინი, რომლითაც ერთი დასი მეორეს მომხრეებს ჩამოაკლებს. მაგრამ ამაშიც ისეთი საშუალება არ უნდა იყოს ხმარებული, რომელიც მართებულობის წინააღმდეგია.

როდესაც რომელისამე დასის წარმომადგენელის ყოფა - ქცევაში არც ეს ოინია და არც არავითარი თავის მომხრეთათვის სასარგებლო აზრი, ეს-კი ველარ გაგვიგია! ამ გვარს შემთხვევაში საჭიროა და დიდაც საჭიროც, რომ პრესტიჟი დასის უმთავრესის წარმომადგენელისა დაცული იყოს, რომ მის სიტყვას გავლენა და პატივისცემა მოპოვებული ჰქონდეს კრებაში. მაგრამ როდესაც ამის ნაცვლად იმავე დასის მეორე მეთაური სულ სხვა ოპერიდან მოჰყვება გალობას და ამტკიცებს თავისისავე წინამძღოლის აზრის უსაფუძვლობას—ეს ველარაფერი უღელის გაწევაა საერთო საქმეში! სწორედ ასეთი შეცოდება მოუვიდა ოც-დაერთს ამ თვეს ბ-ნს კეზელს.

ამას გარდა, იმავე ოპოზიციის მეთაურთაგანმა კეზელმა საჭიროდ დაინახა განსხვავებული ყურადღება მიექცია მსესხებლის ამირალოვის სიტყვებისათვის ქარვასლის დამტკიცების შესახებ ბ სთქვა: დაიხსომეთ დღევანდელი დღე 1894 წ., რომ მსესხებელმა ჩვენის ბანკისამ თავისი უფლება განაცხადა აქაო.

აქ კი ჩვენი ჟურნალისტი სრულიად ღალატობს თავისს უმთავრესს ხელობას! როგორ? განა ჩვენმა მწერალმა მხოლოდ ახლა გაიგო, რომ მსესხებელთაც აქვთ მინიჭებული უფლება კანონისაგან? ბ-ნმა კეზელმა კარგად უნდა იცოდეს წესდების წაკითხვა და, თუ რამ ამ წესდებაში უხეირო არის, მავნებელი დამაარსებელთა ინტერესისათვის, ამდენს ხანს უნდა ემხილებინა. თორემ როდესაც მსესხებელი თხოულობს იმას, რასაც კანონი ნებას აძლევს, ეს რა საკვირველია?..

აკი ბრძანებთ, ბ-ნო ოპოზიციის მეთაურნო, რომ თქვენ კანონის და სიმართლის დარაჯნი ბრძანდებით! მაშ ის, რაც ერთს მსესხებელს ამირალოვს არ ეპატიება, რაღად-ღა უნდა შეენდობოდეს მეორეს, იმგვარსავე მსესხებელს—ალალო თუთაევს? მაშ ოთხის წლის განმავლობაში ოპოზიცია ამ მსესხებლის ბაგით რაღადა ჰღაღადებდა საზოგადო კრებაზედ? რაც ერთს მიეტევება, საკვირველია, ის მეორესათვის რად უნდა იყოს მომაკვდინებელი ცოდვა?.. ხოლო თუ მსესხებლის მიერ აზრის გამოთქმა და საკუთარის უფლების ხმარება დანაშაულია, სადა ბრძანდებოდენ ოპოზიციის წარმომადგენელნი აქამდის?!.

მაგრამ სამართლის სასწორი, როგორც სჩანს, ოპოზიციის მეთაურთა ხელში ყოველთვის სწორედ არა მუშაობს!

დასასრულ ერთი რამ უნდა მოვახსენოთ ჩვენს ოპოზიციის წინამძღოლთ: არ იფიქროთ, რომ ყველანი, ვინც თქვენ დღეს გემხრობათ, ყველა ესენი ბრმა მორწმუნე და დამჯერებელნი იყვნენ თქვენნი. არიან მათში მრავალნი, რომელნიც ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს თქვენს ყოფა-ქცევას, თქვენს სიტყვა-პასუხს და როდესაც შეგამჩნევენ, რომ სწორს გზაზედ არ დადიხართ, უსათუოდ ზურგს გიჩვენებენ. ამ გვარი თვისება აქვს ყოველს ბუნებით

## ფელეტონი

### ამორჩევების შესახებ საზოგადოდ.

ამ დღეებში გამოვიდა მე-V წიგნი „მოამბი“-სა, რომელშიაც, სხვათა შორის, ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ჩვენის გამოცდილის და ნიჭიერის პუბლიცისტისა. აი აგერ 30 წელიწადია, რაც ბ-ნი ნიკოლაძე ლიტერატურის ცეცხლში ტრიალებს ჯარასავით და ხან თვით იწვის, ხან სხვასა სწვავს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო და საგულისხმიერო დაუწერია ჩვენთვის თუ ქართულ ლიტერატურაში და თუ რუსულში. ადამიანი იმათია ადამიანი, რომ შეუმცდარი არ იქნება და შეიძლება ბ-ნი ნიკოლაძეც შემცდარს აზრს ჰქადაგებდეს ხანდახან, მაგრამ იმას-კი ვერ იტყვის კაცი, რომ გულის სიწრფელე, სინიდისი და ცოცხალი აზრი აკლდეს ნაწერებში, როცა იგი ჩვენს საზოგადო საქმეებზე ჰქადაგებს და როცა იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გვირჩევს რასმე. ამ ნაირის ძლიერის იარაღით აღჭურვილი ბ-ნი ნიკოლაძე ლაღად და კადნიერად მიდის თავის გზაზედ და ვაი იმას, ვინც წინ გადაეღობება! ძლიერის იერიშით მიდის იგი და მუსრს ავლებს. ჩვენის ქვეყნის შინაურ თუ გარეულ მტერს, რომელნიც მას მრავალზედ უმრავლესი გამოუწვევია ხოლმე თავისი დაურიდებელის ენით და კადნიერის საქციელით. როგორც ელექტრონის ძლიერი მანქანა, ნაპერწკლებს ისვრის და თუთქოს იმ ქოსა თუ თეთრად გაჩიჩილაკებულ ლიტერატორებს, რომელნიც ტლანქის ხელით უგზო-უკვლოდ შეჰხებიან მას.

ამ გზობისად ბ-ნს ნიკოლაძეს, როგორც ვსთქვით, აუღია ჩვენთვის ფრიად საყურადღებო საგანი—ჩვენი ამორჩევები. სწორედ რომ კოვზით ზიარებაა ეს წერილი ჩვენის ამორჩევებისათვის, რომელიც ასე ურიგოდ დაიქსაქსა და აირ-დაირია. მაგრამ აბა ყური დაუგდეთ ბ-ნს ნიკოლაძეს.

ამბობს იგი:

„ჩვენს დროში, მთელი კაცობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია. ყოველი განათლებული ხალხი უმთავრეს თავის ყურადღებას იმას აქცევს, რომ პატიოსანი და გონიერი კანონები შეადგინოს არჩევნების შესახებ და ყველა თავის არჩევნები წესიერად, გულ-წრფელად და სვინიდისიანად მოახდინოს, ამ კანონების გადუხვევლად და გადუხდომელად. სადაც ეს მტკიცედ არაა დაცული, იქ არეულობის, მატყუვრობის და ძალადობის მეტი არაფერი მეფობს საზოგადო და საქვეყნო ცხოვრებაში. მცირედი უკანონობა ან გარყვნილობა არჩევნებში სწორედ იმნაირადვე რევს და შლის ერის საქმეებს და წყობილებას, როგორც საძირკვლის გამოთხრა მთელ სახლს აზიანებს და კიდეც აქცევს ხოლმე. ამ მიზეზით განათლებულ ქვეყნებში ერთი ნამცეცა მოქრთამვა, ძალადობა ან უკანონობა რომ შეამჩნიონ კენჭის ყრას, მაშინვე დაარღვევენ არჩევანს და ხელმეორედ ახალს ნიშვნენ. თვითონ საზოგადოების თვალშიაც მიუტევებელ ბიწიერებად, თითქმის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება რიგიანობის მცირეოდნად შელახვა არჩევნის დროს. რასაკვირველია, ყოველი პატიოსანი კაცი განსაკუთრებით იმას ნატრობს, ცდილობს და ეძებს, რომ ხალხის საკუთარი და თავისუფალი სურვილით იქნეს ამორჩეული, ერის ნების ნამდვილი წარმომადგენელი გახდეს, და არა მატყუვრობით ირქმევდეს ამ სახარბიელო სახელს“.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ გადადის ჩვენის მარშლების არჩევანებზედ და ამბობს, რომ თუმცა მართალია, ჩვენს მოღვაწეებს დიდი ასპარეზი არა აქვსთ სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ რაცა აქვთ, იმითაც ვერ სარგებლობენო:

„მაგალითად, ავილოთ თუნდ მარშლობა. მაინც და მაინც დიდი უფლება როდი აქვს ამ თანამდებობას. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იმას ერთი ჩინებული უფლება მაინც მიუძღვის: მის საშუალებით აზნაურობას უმაღლეს მთავრობასთან ნიადაგ მისვლა-მოსვლა და თავისი საჭიროების თუ გასაჭირის მიღწევა ყოველთვის ადვილად შეუძლიან“.

„იმ აზრით, რომელიც დღეს რუსეთში სუფევს, ყოვლად სასურველი და საჭირო საქმეა თავად-აზნაურობის ფეხზე წამოყენება და გაძლიერება, რამოდენადაც-კი შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა. მთავრობა ეხლა არაფერს საშუალებას არ ჰზოგავს— ფულებს გარდა—ოღონდ-კი როგორმე დაეხმაროს აზნაურობას. რასაკვირველია, ყველა ჰგრძნობს, რომ უწინდელ წესის, ბატონ-ყმობის, ხელახლავ აღდგენა ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ამას მართლაც აღარავინ ფიქრობს. მაგრამ ამას გარედ რაც-კი მოხერხდება, ნატრობენ და ცდილობენ აზნაურობის ნივთიერი მდგომარეობა და გავლენა გააუმჯობესონ. ვალები შეუმსუბუქეს, იაფი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გავლენა მოუმატეს, ადგილობრივი პოლიცია ერთიანად იმას ჩააბარეს და სხ. და სხ... სრული მეცადინეობაა იმაზე მიქცეული, რომ აზნაურობას თავისი რჩენა მაინც შეეძლოს, თავისი შვილების გამოზრდის საშუალება მაინც ჰქონდეს“.

„მეტყვიან, „ის რუსეთშიაო, ჩვენკი...“ ეს დასაჯერი როდია, რადგანაც თვით მართებლობამ შეატყობინა საქართველოს აზნაურობას, რომ არავითარ განსხვავებას არ სდებს რუსეთის და საქართველოს აზნაურობას შუა. საქმე და განსხვავება მარტო იმაშია, რომ რუსეთში აზნაურობამ მოახერხა და ისარგებლა ამ მიმართულებით, ჩვენში-კი იმან არ იცოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, და აგერ ლამის ხელიდან უსარგებლოდ გაუფრინდეს შესაფერი, დაუბრუნებელი შემთხვევა“...

„ზოგ გუბერნიაში აზნაურობამ არაფრის თხოვნა არ ისურვა. სხვაგან—უმეტეს ნაწილში—ისურვა და ბევრგვარი შემსუბუქების თუ უპირატესობის შოვნა მოახერხა. ჩვენში, გაქვთ დღეგრძელობა, სურვილი დიდი იყო, მაგრამ მოხერხება-კი დაგვაკლდა. ვიმეცადინეთ ამ აზნაურობისათვის ბედნიერი დროებით გვესარგებლნა? საუბედუროდ, „საზოგადო“, საყოველთაო რა გვქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალს ადამიანს და ასეთნი, როგორც თქვენს წინაალმდეგს, ისე თქვენსავე დასში, უეჭველად საკმაოდ არიან. უფრთხილდით ამათ!..

მეველე

## დამაკვირდი

გონიერს დატუქსვაც ეყოფის, ხოლო სულელს ასის წკეპლის მირტყმაც არა ჰკმარის.

სოლომონ

**

ცხელის ქვეყნების ერის ცხოვრება გრძნობიერია, ცივისა—ხორციელი, ხოლო ზომიერისა—გონებრივი.

მენცი

**

უფრო ისინი მიყვარს, რომელნიც წითლდებიან, ვიდრე ისინი, რომელნიც უვითლდებიან, ვინაიდგან სირცხვილისაგან გამოწვეული სიწითლე არის სიწითლე სათნოებისა.

კატონი

## ახალი ამბავი

*** ს. კეხვი. ჩვენი სოფელი ცხინვალიდგან 9 ვერსზედ მდებარეობს. აქ 7 მაისობა იციან, სადაც ახლომახლო სოფლებიდგან იკრიბებიან. სხვათა შორის ერთი ქემერტელი (ლიახვს გაღმაა) მინდიაშვილიცა სწვევია დასა და სიძეს. იმ დღეს დასთან დარჩენილა და, მეორე დღეს კი გამოსთხოვებია. შექეიფიანებულს ცხინვალზედ მოვლა დაჰზარებია და პირდაპირ მოუნდომებია ადიდებულ წყალში გასვლა. შესვლის უმალვე წაუქცევია წყალს და დაუჩხვია. დამრჩვალის გვამს ფეხდაფეხ მიჰყვნენ და იპოვეს.

*** ქიზიყი: ჩვენში საზოგადოდ მიწის მოსავალს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით; უფრო-კი ყანებია კარგი. რამდენისამე ხნის მოუსავლობით გულ-გატეხილი ხალხი იმედით შეჰყურებს და შეჰხარის მინდვრებს, რომელიც ზღვასავითა ბიბინებს მწვანედ. ნაადრევი ხეხილები-კი დააძრო სიცივეებმა და სულ გააფუჭა.

*** ჭიათურა: შავი-ქვის წარმოებამ და მუშაობამ ათასის მილეთის ხალხი მოიზიდა აქ. არის ერთი გაცხოველებული და გაჩაღებული სასაქმიანობა. ყველა ერთმანეთს ეცილება, ერთმანეთს ეჯიბრება და სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ქვა დაამზადოს და წაიღოს, საცა წასაღებია. ხალხი ბუზივით ირევა: ზოგი ნოქარია, ზოგი — ჩალანდარი, ზოგი კომპანიონი, ზოგი მამულის პატრონი და ზოგი მყიდველთა წარმომადგენელი. ერთმანეთის ჯიბრსა და ფაცა-ფუცში ისე დღე არ გავა, რომ ან თოფისა და რევოლვერის სროლა არ ატყდეს, ან ჩხუბი არ მოხდეს და ხანჯალმა არ დაიწყოს ტრიალი. ომია, რაღა, სწორედ, ომი! მრავალნი არიან ისეთნიც, რომ მაინც ამ გაცხარებულს ბრძოლაში არ ივიწყებენ ქეიფს და არის ერთი განუწყვეტელი ჰიჰყინი არღნისა, ისმის ჩახრინწიანებული ხმა ლოთიბაშებისა და სდგას საშინელი ღრიანცელი. ყოვლად საჭიროა, რომ წესიერების დაცვას ჩვენს ჭიათურაში უფრო მეტი ყურადღება ექმნას მიქცეული, ვისგანაც ჯერ არს.

*** ს. წუნარი (გორის მაზრა). ჩვენში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ჩვენი სოფლიდგან ხუთ ვერსზედ მდებარეობს ს. დვანი. ამ სოფელში 7 მაისს დღეობა იყო სახელად «კოხიჯვრობა“. ჩვენის სოფლიდგანაც ბევრი ხალხი წავიდა სალოცავად. როდესაც სადილობა მოახლოვდა, ხალხი დაიშალა და წავიდნენ სადილის საჭმელად თავიანთ ნათესავებთან. ერთი კაცი დარჩენილიყო უსადილოდ და წასულიყო პურის სათხოვნელად. მისულიყო ერთ ოჯახში და პური ეთხოვა, იმათაც ეჭმიათ. ამ დროს გამოსულიყო ერთი ქალი და ეთქვა, ადექ და ჩქარა წადი, თორემ მთვრალი ხალხია და არა დაგიშაონ-რაო. ისიც მალე წასულიყო· იქვე ახლო ვიღაცებიც შემოჰყროდნენ, ეცემნათ და მოეკლათ. ამხანაგებს თუ მეზობლებს ეკითხათ სოფელში, ეს და ეს კაცი ხომ არ გინახავთო, და უარი ეთქვათ. როდესაც თავიანთ სოფელში მისულიყვნენ, იქაც ეკითხათ თავის სახლში და ეთქვათ, რომ დვანში წავიდა და არ მოსულაო. მეზობლებმა პასუხად ის მისცეს, რომ იქ არა არისო. მაშინვე წავიდნენ, ვერც დაკარგული კაცი იპოვნეს და ვერც იმისი მნახველი. მეორე დღესვე შეატყობინეს მამასახლისს და აგრეთვე ცხინვალის ბოქაულს. იმათაც ბევრი ეძებეს და ვერ იპოვნეს. აგერ ათი დღეა, რაც დაეძებენ, მაგრამ ამაოთ. სამშაბათს, 17 მაისს, დილით მოიტანეს ამბავი, მკვდარი იპოვნესო დირბსა და პატარძეულ-შუა ტყეშიო. როგორც გაუგიათ, თურმე დვანელებს რამდენიმე დღე დამარხული ჰყოლიათ და რადგანაც ბოქაულს და იქაურ საზოგადოების მამასახლისს უთქვამთ, ის კაცი თქვენს იქით არსად არ იქნებაო, შეშინებულებს ურმით წაუღიათ დასამალავად და ზემოხსენებულს ადგილს დაუგდიათ. ურმის კვალი უპოვნიათ.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის კრება

21 მაისს

სხდომა დაიწყო 10 საათზედ დილით. წაკითხული იყო დივიდენდების შესახებ მოხსენება გამგეობისა. ამ საგნის შესახებ სამივე წევრი გამგეობისა სულ სხვა-და-სხვა აზრს ადგას: თ. ილ. ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ დივიდენდები განახევრდეს, ესე იგი 20%-დამ 10%-ზედ დავიდეს; ეს 10% უნდა გადადებულ იქმნას შესადგენად სამეურნეო კაპიტალისა, რომლის შემწეობით შეიძლება დაარსდეს: ელევატორი, სასოფლო კრედიტი და სხვ.

თ. დ. ავალიშვილი იმ აზრისაა, რომ დივიდენდი სრულიად მოისპოს; ამ 20% მიემატოს კიდევ 5% საექსტრაორდინარო კაპიტალისა, ამ გვარად შესდგეს ცალკე თანხა, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს გაუმჯობესება თავად-აზნაურთა მიწა-წყლის მფლობელობისა.

თ. ივ. მაჩაბელი იმ აზრისაა, რომ დივიდენდი განახევრდეს და ეს ნახევარი, შემადგენელი 10%-სა გარდაიდვას საზოგადო—საჭირო კაპიტალის დასაარსებლად..

ამ მოხსენებამ საშინელი კამათი ასტეხა; ყოველი წევრი გამგეობისა, გარდა თ. მაჩაბლისა, გულ-მხურვალედ იცავდა თავის მოხსენებას და ამტკიცებდა მისს სიმართლეს. ამ საგანზედ ილაპარაკეს: თ. ილ. ჭავჭავაძემ, თ. დ. ავალიშვილმა, გენერალმა მუსხელაშვილმა, თ. გ. ორბელიანმა, თ. აფხაზმა, ბ. კობიაშვილია, თ. ნ. ორბელიანმა, თ. ალ. ჩოლოყაშვილმა, თ. ვას. მაჩაბელმა, დ. კეზელმა. და სხვა.

თუმცა თ. ივ. მაჩაბელს, თანახმად მის მიერ ალთქმისა—არ ილაპარაკოს ამ საბანკო კრებებზედ მანამდის, თავმჯდომარე სხვა გვარად, სხვა თავაზით არ მოეპყრობა ოპოზიციას,—არ ულაპარაკნია თავისის წინადადების შესახებ, მაგრამ ამ წინადადების სიმართლეს ასაბუთებდენ და მომხრედ ჰყავდა: გენერალი მუსხელაშვილი, თ. ვას. მაჩაბელი, თ. აფხაზი და დ. კეზელი. სხვა უმეტესნი ნაწილნი ორატორებისა თ. ჭავჭავაძის აზრს მიემხრნენ.

კამათს ბოლო არ მიეცა და კითხვის გარდაწყვეტა გუშინდელისათვის გარდაიდო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავმჯდომარეს ოპოზიციის წევრმა კ. ტატიშვილმა მოართვა პროტესტი 110 კაცისაგან ხელ მოწერილი, რომელშიაც საჩივარი იყო გამოთქმული კრების თავმჯდომარეზედ და იმ წესებზედ, მოქმედებაზედ, რომლითაც თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სხდომების დროს. 16 სხვა-და სხვა მუხლია მოყვანილი პროტესტში, პროტესტი მიღებულ იქმნა ჯეროვნის მსვლელობის მისცემად. (კრება დაიხურა $3^1/_2$ საათზედ.)

22 მაისი

კრება დაიწყო დილის 10 საათზედ. თავმჯდომარემ გამოაცხადა პირველად, რომ, რადგანაც თავმჯდომარეს გამგეობისას თ. ილ. ჭავჭავაძეს გარდაეცვალა დისწული, ამისათვის ის ამ სხდომას ველარ დაესწრებაო და შემდეგ სთქვა, რომ, რადგანაც გუშინდელ გამგეობის მოხსენებაზედ კამათი გათავებულად უნდა ჩაითვალოს,—კრებამ დღეს მხო-

---

სათხოვნი ან სახეირო, ვერ გამოვიკვლიეთ ამ თუთხმეტი წლის განმავლობაში. ხან ერთს წარმომადგენელს ვგზავნიდით მთავრობასთან, ხან მეორეს, ხან მესამეს. მთავრობა ყველას სიამით ეგებებოდა; ყველას, ჩვენის პატივისცემით, აჯილდოებდა; ყველას, რაც შეეძლო, საქმეს ურიგებდა. საუბედუროდ უფრო ხშირად ის მომხდარა ხოლმე, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა ჩინებულად იცოდნენ რა და როგორ ეთხოვნათ... მაგრამ ვისთვის?... საზოგადოებისთვის კი არა“...

„ეხლა-კი მარტო ის გვინდოდა შეგვენიშნა, რომ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, როცა ასე ადვილი იყო მთავრობის დახმარების შეძენა, ჩვენს აზნაურობას ჯერ ერთი ნაბიჯიც-კი არ გადუდგამს ამ მიმართულებისკენ“.

სხვა ბევრი შემთხვევაც და დროც დაგვიკარგავსო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე იმის გამო, რომ ჩვენ საზოგადო საქმეებს რიგიანი პატრონი არ ჰყოლიაო და შემდეგ მოგვითხრობს, როგორ ეკიდებიან ამ საქმეს უფრო განათლებულს ქვეყნებში:

„განათლებულ ქვეყნებში, საცა საზოგადოება თუ ერი თავისი საქმეების მმართველებს თვითონ ირჩევს, ყველას ესმის, რომ პატრონი უნდა უპოვონ და აურჩიონ ამ საქმეებს, ისეთი რიგიანი პატრონი, რომელიც საერო საქმეს სწორედ ისე მოუვლის, თითქო მისი საკუთარი იყოს: დროს დაუკარგველად, შემთხვევის გაუშვებლად. ამისთვისაც იქ, არჩევანი რომ დადგება, საზოგადოება თითონ ეძებს, თითონ ჰფიქრობს: ნეტა ამ ალაგზე ვინ იქნება უმჯობესი, უგონიერესი, უპატიოსნესი პატრონი ჩვენი საზოგადო საქმისაო. ეძებს, და არჩევს უმჯობესს. ამიტომაც მიხედეთ, აბა, მის საქმეებს: საცა გინდათ და არ გინდათ, ყველგან რიგიანი-კი არა, უწარჩინებულესი მოთავეები უყენიათ, საქმის მცოდნენი, საქმეზე ერთგულნი, მუყაითნი. რაღა გასაკვირველია, რომ იქ საზოგადო თუ საერო საქმე კარგად და ღირსეულად მიდიოდეს? უკეთესებს, უმჯობესებს ირჩევენ ყოველთვის საქმის მოთავედ“...

მერე როგორ ირჩევენ იქ ასარჩევ კაცებს? კენჭის ყრის წინად ყოველი სოფლიდგან გაიგზავნება ხოლმე არჩეული კაცი საზოგადო კრებაზედ დასასწრებად. იქ სხვა-და-სხვა დასი თავიანთ კანდიდატების აზრს და მიმართულებას ისმენს საზოგადოებაში კამათობის დროს და რომელიც მოეწონება, იმას ემხრობა დასი. საზოგადო კენჭის ყრის დროს მხოლოდ ის კანდიდატები წარმოსდგებიან, რომელნიც მოწონებულნი იქმნენ თავიანთ მომხრეებისაგან და მხოლოდ ის გაიმარჯვებს, რომლის აზრი და შეხედულობა უმრავლესობის აზრს და შეხედულებას შეეთანხმება; ყოველ შემთხვევაშიო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე, რა დასის კაციც უნდა იყოს არჩეული, ღირსეული იქმნებაო, რადგან არც ერთი დასი არ მოინდომებს იმისთანა კაცის წარმოდგენას, რომელსაც მისი სახელის გატეხა და შერცხვენა შეეძლოსო.

„ჩვენში არჩევნები სულ სხვაფრივ იმართება. აქ საზოგადოება-კი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომვლელს და მოთავეს,—ვიგინდარები თითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს. აქ პარტიებიც გვყავს, უეჭველია, მაგრამ სულ სხვანაირი, ჩვენებური. აქ საქვეყნოდ, აშკარად, როდი ვინ არდგენს კრებას, არც არავინ „უმჯობესს ეძებს“. აქ გამოხტება, ვინც თავზე ხელ-აღებულია და აღარაფრის მორიდება არა აქვს, და პარტიას ირდგენს“, სწორედ ისე, ძველს დროში „საშოვნელად“ წამოყოლი ამხანაგობის გამოწვევა რომ იცოდნენ. „საშოვარი“ ადგილი ყოფილაო, საზოგადო სამსახურისა, ჩინებული ჯამაგირით, პატივიც დიდი აქვს, თურმე, სახელიც და გავლენაცაო. არიქა, ვიშოვნოთ; მარჯვე ბიჭი ვინც, ხართ, ეხლა გამოჩნდებაო! შეიყრის ასე თავს რამდენიმე ამხანაგი ან მეზობელი, და პლანს დააწყობს: ჩუმად მალულად, ისე, რომ ვერავინ გაიგოს, მიეპარონ საერო კრებას, კენჭის ყრას, და უცბად შევარდნესავით ფრთა ჰკრან და ბრჭყალი სტაცონ „საშოვარ ადგილს“. კანდიდატს არც წარსული აქვს თვალსაჩენი, არც არაფერი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მისი სახელი, ამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილისთვის, და მთელი მხარისთვის, სრულიად უცნობია. საზოგადოებას და ქვეყანას გაგებაც არა აქვს, თუ რა რწმუნებისა, რა მიმართულებისა, რა პროგრამისაა ეს კანდიდატი. რა მოუქმედნია, რას იზამს, ვინ იცის! განათლებულ ქვეყნებში კანდიდატს საზოგადოების წინ რომ ყოველთვის თავდებები ჰყავს, მისი გამოყვანილი, მისი განზრახვის მცოდნენი, აქ, ჩვენში, ახალ გამოხტომილ კანდიდატებს თავის ნათესაობის მეტი თანამოაზრე და თავდები არავინა ჰყავს. რისი თავდებობა, სადაური პროგრამაო, ისმის ყოველგან ჩვენში: ან წარსული რად უნდა კაცს, ან ღვაწლი, ან გავლენა: მთელი საქმე კენჭში ყოფილაო. კენჭი იშოვნე ბლომად, მეტს ნურას ეძებ, მეტი არაფერი ყოფილა თურმე საჭიროო. კენჭი, კენჭი, მარტო კენჭი. თუ თავის ნებით არ მოვიდეს მეკენჭე, მოიყვანე, მოიქრთამე: თვლაში ყველა ერთნაირად გამოდგება, დიდი და პატარა, გულწრფელი და ნაქირავები, კარგი და ავი“.

„ჩვენში საზოგადოება როდი დაეძებს მისი საერო საქმეების პატრონებს-მეთქი, ვისაც უნდა პატრონად გაუხდეს საზოგადებას, ის თითონ გამოდის ასპარეზზე და თითონ მეცადინეობს პატრონად გახდომას. არავის აზრშიაც არ მოუდის, რომ პატრონობას, სხვა თუ არაფერი, ცოდნა მაინც უნდა იმ საქმისა, რომელსაც ხელს უპოტინებს. მის წარსულში, მის ნაშრომში რამე მაინც უნდა იყოს თვალ-საჩენი, ისეთი, რომ ყველა ჰგრძნობდეს: ჰო, ამ კაცს უფლება აქვს მეთაურად გაგვიხდესო! ჩვენში ცოტა ვისმე ესმის, საუბედუროდ, რომ საზოგადო საქმის მოთავე თუ განკერძოვებული ნიჭის პატრონი არაა, ის საქმე და საზოგადოება წინ ვერ წავა ვერ იხეირებს. ეს აზრი ჩვენში, მგონია, მარტო პოეტს ესმოდა:

„კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული:
მის მ ხ ო ლ ო დ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული!“

„რაღა თქმა უნდა, ამგვარ კანდიდატს არც საზოგადოების ნდობის დასამსახურებელი იარაღი უვარგა. განათლებულ ქვეყანაში საერო ნდობის მაძიებელს იარაღად მარტო ისა აქვს, რომ ხალხი ხედავს თავისი თვალით, თუ რამოდენად უკეთ ესმის ამ ახალ კანდიდატს, ვინემ სხვებს, ან ძველ მეთაურებს. ვისაც საქმე მართლად გაცნობილი აქვს, ვისაც ხალხის ნამდვილი სიყვარული უღვივის გულში, იმას ყოველთვის შეუძლია მოიაზროს და მოიგონოს, თუ რა ახალი გაუმჯობესობა შეიძლება მიეცეს ამ საქმეს, ხალხის უმეტესი ნაწილისთვის სასარგებლოდ, ისე, რომ ამ საქმის სიკეთე ხალხის ახალ და ახალ წრეებსაც მისწვდეს. როგორც მჯობნის მჯობნი არ დაილევა ქვეყანაზე, ისე საზოგადო საქმის ზრდას და მისი სარგებლობის გავრცელებას ხალხზე საზღვარი არა აქვს. ამით სარგებლობენ ახალი თაობანი, რომელთა წარმომადგენლებს ყოველთვის უნდა შეჰქონდეთ თავიანთი ერის ცხოვრებაში ძველის გაუმჯობესობა და ახალი სიკეთის დაარსება. აი ქვეყნის თვალში თავის გამოჩენის, ნდობის დამსახურების და გავლენის შეძენის ერთად-ერთი გზა. ჩვენში საზოგადოების მეთაურობის მაძიებლებს, თუ მტაცებლებს, ეს როდი ესმისთ. ისინი სხვაგვარ გზას ადგებიან ხოლ-

ლოდ კითხვების შედგენას და მათს გარდაწყვეტას უნდა შეუდგესო.

ამ საგნის შესახებ ილაპარაკეს: დ. გურამიშვილმა, გენერალმა მუსხელოვმა, ბ. ნატროშვილმა, თ. გორბელიანმა, კ. ტატიშვილმა, ს. მაჩაბელმა თ. ზ. ჭავჭავაძემ.

შემდეგ რამოდენიმე ჯერ სიტყვის შებრუნებისა ორატორების მხრით, კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა—დივიდენდი კი არ მოისპოს, არამედ განახევრდესო. როდესაც იმაზე შეიქნა კამათი, რომ ამ მოკლებული დივიდენდების ნაწილიდგან რა თანხა შეედგინათ: განსაკუთრებელი თანხა, თუ საერთო სასარგებლო კაპიტალს მიჰმატებოდა,-კრება ამაზედ ვერ მორიგდა და ამისათვის კენჭი ჩამოატარეს.

ხმის უმეტესობით კრებამ გარდასწყვიტა, რომ ცალკე ფონდი დაარსდეს. (თეთრი 609; შავი 314; თ. ივ. მაჩაბლის აზრს მოუვიდა: თეთრი 362; შავი 561). სხდომა 6 საათზედ გათავდა.

(შემდეგი იქნება)

## შეცდომის გასწორება

გუშინდელს ჩვენს გაზეთში ბანკის ანგარიშებში ორი შეცდომა მოგვიხდა.

პირველი: ივერიაში დაწერილია: ვითომ თ. ივ. მაჩაბელმა სათავად-აზნაურო სასწავლებლის კომიტეტის წევრობაზედ კენჭისყრის დროს მიიღო 394 თეთრი კენჭი, ხოლო 230 შავიო. ეს ციფირები გუშინ-წინდელს გაზეთში სწორედ არის დაბეჭდილი და აქ კი კორრექტურული შეცდომა მოგვსვლია. თ. ივ. მაჩაბელს ამოუვიდა 304 თეთრი კენჭი და 230 შავი, ერთის კენჭით მეტი პავლე ყიფიანზედ, რომელსაც 303 თეთრი ამოუვიდა და 231 შავი.

მეორე შეცდომა ის არის, რომ დაბეჭდილია ვითომ „კრებამ ერთ-ხმად აღირჩია საპატიო წევრად თ. აკაკი წერეთელიო“. ეს მართალი არ არის. მართალია მხოლოდ ის, რომ ერთმა წევრმა წინადადება მისცა თ. აკაკი წერეთლის საპატიო წევრად არჩევის შესახებ, ხოლო კრებას-კი ასეთ არჩევანების გამო არაფერი არ დაუდგენია.

## კორესპონდენცია

**ჯავახეთი** (მესხეთი), 10 მაისს. ჯავახეთი პატარა მაზრაა ახალ-ქალქისა და სძევს მაღლობ და ტიტველა ადგილზედ. უმთავრესი სახსარი ჯავახების ცხოვრებისა ხვნა-თესვაა, რადგან სახნავი მიწები ბლომად აქვთ. ჯავახები სთესვენ პურსა და ქერსა. პურმა და ქერმა აქ კარგი მოსავალი იცის, თუმცა მიწები ურწყავია; ამ ბოლოს წლებში-კი პურისა და ქერის მოსავალმა შესამჩნევად იკლო. ეს არის მიზეზი, რომ აქ ამ ჟამად ჰირნახული ძვირია: სომარი პური ოც-ოც-და-ერთ მანეთად იყიდება, ხოლო სომარი ქერი-14-15 მანეთად. (სომარი აქაური თექვსმეტი კოდია, კოდი 50 გირვანქაა). ხვნა-თესვის გარდა ჯავახი შინაურ პირუტყვის მოშენებასაც ძალიან მისდევს, მეტადრე ცხვრისა და ძროხისას, რის გამოც ყველსა და ერბოს ბლომად ჰყიდის.

ჯავახეთში საზოგადოდ ვენახები არ არის, გარდა ორის სოფლისა, საროსი და ხიზამავრისა, სადაც თუმცა არის ვენახები, მაგრამ ამ ვენახების ღვინო ძალიან მდარეა, რის გამოც ადგილობრივ ბაზრის თუნგი ამ ღვინისა ათ შაურად იყიდება. კიდევ კარგი, რომ ამ ღვინით ჯავახები იოლად მიდიან ქელეხებში და წირვებში, თორემ, შენი მტერი, ამისთანა გაჭირებულ დროს (როგორც ქელეხებსა და წირვებში) ცუდი საქმე მოუვიდოდათ. აბა, მაშინ სად შეიძლებდნენ ღვინის ყიდვას ახალქალაქში, სადაც თუნგი ღვინო მანეთად-ექვს აბაზად იყიდება?! ზოგიერთ სოფლებში, როგორც მაგალითებრ, ჩუნჩხაში, ღოლაშენში და თოვში ბაღჩებიც არის და ამ ბაღჩებში კარგი ბოსტნეული და გემრიელი ხილი მოდის.

ჯავახები შეშის მაგივრად წივას ხმარობენ საწვავად, რადგანაც ტყეები სრულიად არა აქვთ. წარმოიდგინეთ, რა წვალებაში უნდა იყვნენ საბრალონი, მეტადრე აქაურ ცივ და სუსხიან ზამთარში რა ძნელი ასატანი უნდა იყოს მათთვის წივის ცუდი სუნი! ჯავახეთის ზოგიერთ სოფლებში მდინარეებიც სრულიად არ არის. მართალია, ამ სოფლებს წყაროები აქვთ, მაგრამ წყაროები გამოდის დაბლობ ხრამებში, ერთი-ორი ვერსის სიშორეზედ სოფლებიდგან. თუმცა ამ წყაროებიდგან სოფლელები წყალს სახედრებით ზიდავენ, მაგრამ დიდ წვალებაში არიან მეტადრე ზამთარში, როცა გზაზედ ყინულია. ხშირად ხდება, რომ სახედარს ფეხი უსხლტება ყინულზედ, იქცევა და იმაზედ გადაკიდებული კოკებიც სულერთიანად იმტვრევა.

დავიჯერო, სოფლის ახლო, ვაკე ადგილებზედ, არ შეიძლებოდეს წყლის ამოყვანა!? მაგრამ ვინ არის ამ საქმის მოთავე და ყურის მგდებელი?!

ჯავახელი გლეხი სწავლა-ცოდნას ძალიან მისდევს. ეს არის მიზეზი, რომ ამ პატარა ახალქალაქის მაზრაში არსებობს თოთხმეტამდისინ პირველ დასაწყისი სასოფლო სკოლა, სადაც პატარა ჯავახები წერა-კითხვას სწავლობენ. ამ სკოლებში უფრო კარგად წავიდოდა სწავლის საქმე, რომ გლეხები შემოდგომაზედ (ენკენისთვესა და ღვინობისთვეში) და გაზაფხულზედ (აპრილსა და მაისში) თავიანთ შვილებს სწავლას არ აცდენდნენ. მაგრამ, ეჰ, მახლას! რა გაეწყობა? ეს ხომ საზოგადო ნაკლია სოფლის სკოლებისა!

მოხსენებულ სკოლებში სამი ქართული სკოლაა: ბარალეთისა, ქილდისა და ჩუნჩხისა, დანარჩენები სომხებისა, თათრებისა ღ ფრანგებისაა. ჩუნჩხის სკოლაში, რომელიც აგერ მესამე წელიწადია მას აქეთ, რაც „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ“ დააარსა არავითარი ქართული საკითხავი წიგნები არ არის „დედა-ენის,“ „ბუნების კარის“ და „რუსკოე სლოვას“ გარდა. კარგი იქმნება, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქართული საკითხავი წიგნები მოაწოდოს ამ სკოლას. ამ წიგნების კითხვით პატარა მოსწავლე მესხები, გარდა სწავლა-ცოდნის შეძენისა, გადაეჩვევიან თათრულ სიტყვების ხმარებას, რომელიც მათში ხშირია. გარდა ამისა მასწავლებელი წაუკითხავს კვირა-უქმით გლეხებსაც ამ წიგნებს. ჯავახებს ძალიან უყვართ წიგნების წაკითხვის მოსმენა, რის გამოც ხშირად უთხოვნიათ მასწავლებლისათვის რაიმე კარგი წიგნის წაკითხვა.

ჯავახეთში არ იციან ქელეხების და წირვების დროს ის დიდი ხარჯები, რომელსაც ჩვენ კურთხეულ ქართლში და მეტადრე ოსებში ძალიან აქვს ფესვები გადგმული და ხალხსა ჰღუპავს. ქელეხებსა და წირვებში მიწვეულნი ჯავახნი სასმელს ბევრს არა სმენ: ერთ-ორ ჭიქა ღვინოს ან არაყს დალევენ, მერე ადგებიან და შინ წავლენ. ქართლში და ოსებში-კი ამდროს სულ სხვას ვხედავთ: ქართლელი გლეხი და ოსი ქელეხსა და წირვაში, მინამ კარგად არ დალევს და არ დაითრობა, შინ არ წავა. ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში ტაბლებიც არ იციან. მიცვალებულის დასამარხავად საფლავს მეზობლები უსასყიდლოდ სჭრიან.

ჯავახელი ქართველი მხდალი (?) გულ-კეთილი, ლაპარაკში თავაზიანი და დარბაისელია. ტყუილად არ არის ჯავახეთზედ ნათქვამი: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო.“

ქართულ ლაპარაკში ჯავახი ბევრს თათრულ სიტყვებს ჰხმარობს, როგორც მაგალითებრ, ყარადაშ (ძმა), ბაჯანაღი, (ქვისლი), ბალდუზი (ცოლის და), ყაინი (ცოლის ძმა), თორუმი (შვილის შვილი) და სხვა. ესეც-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჯავახი ხმარობს ბევრს იმისთანა ნამდვილ ქართულ სიტყვებს, რომლებსაც ქართლ-კახეთში კაცი იშვიათად გაიგონებს. ჯავახის ლაპარაკში გესმით შემდეგი სიტყვები: ფეშხუმი (რგვალი ხის სტოლია, რაზედაც ჯავახნი პურსა სჭამენ), სანიჭარი (შესაწევარი ფულია ქორწილის დროს), ხელ-მანდილი (ხელცახოცია), ყადრი მოუვიდა (ცუდი საქმე დაემართა), გონჯი (ცუდი) და სხვ.

ჯავახი ჩაცმა-დახურვით იმითი განირჩევა ქართლელისაგან, რომ ზოგ მათგანს მოკლე ჩოხა აცვია და თავზედ დიდი ბოხოხა ბუხრის ქუდი ჰხურავს. აქ ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ახლოხის მხარის ქართველ გლეხებს რომ შეჰხედოთ, ჰნახავთ, რომ ბევრს მათგანს თათრული სარუხები ჰხურავთ თავზედ. სარუხიანი ქართველი თათარი გეგონებათ. მხოლოდ მაშინ მიჰხვდებით, რომ ის ქართველია, როცა ქართულ ლაპარაკს დაიწყებს.

ჯავახელს ქალებს კაბის წინ ლურ-

---

მე. რადგანაც საქმე არ გაეგებათ, და მის მსვლელობაში არც ნამდვილი ნაკლულევანების შენიშვნა შეუძლიათ, არც სასარგებლო ცვლილების მოხდენა, ამიტომაც ძველი მოთავეების საქციელის კრიტიკით და თავიანთი ახალის პროგრამის საქვეყნოდ გამომჟღავნებით-კი არ ამზადებენ გამარჯვებას და პირველობას საზოგადოებაში! სულაც არა. ისინი მარტო სიცრუით, ცილის-წამებით, ქალაჩუნობით ატყუებენ საზოგადოებას, და ჰბადავენ მასში უწინდელ მეთაურების სიძულილს. ესაა მათი ერთად-ერთი იარაღი: რამე ისეთი უცნაური ხმა დააგდონ ხალხში, რომ ძველ მეთაურს ფეხს ქვეშ ნიადაგი გამოეცალოს. თავის თავის საკუთარ ფეხ ქვეშ-კი არ სცდილობენ ნიადაგის გამაგრებას, სხვას უთხრიან სამარეს. თავის ამაღლებაზე როდი შრომობენ, მარტო სხვის დამცირებაზე აქვთ მიჩენილი მთელი თავისი ძალა და საშუალება. ამიტომაც ვნების მეტი არაფერი რგებია საზოგადოებას, არსად და არასოდეს, ამგვარი პირების მოქმედებისაგან, და ამგვარი ვითომ „პარტიების“ ბრძოლისაგან. ნამდვილი შრომა, მოქმედება, წინწასვლა სწყდება ხოლმე იმ საზოგადოებაში, სადა ამნაირი ბრძოლა ტყდება. და სანამ ეს ბრძოლა არ მოისპობა, იმ საზოგადოების ცხოვრებაში ცარიელი „უკუთქმის“ მეტი აღარაფერი სუფევს.

შემდეგ აღნიშნავს განსაკუთრებულს თვისებას ჩვენის არჩევნებისას: ჩვენგან არჩეულებს ჩვენის ცხოვრების მიხედვისამებრ მოეთხოვება, გარდა სიპატიოსნისა და საქმის ცოდნისა, კიდევ სხვა რამეცაო. იგი ამასთანავე უნდა იყოს საზოგადოების, ერის და ქვეყნის ინტერესების გამომთქმელი და დამცველიო.

„მარტო ჩვენ თვითონ კი არ ვუცქერით იმათ ამისთანა თვალით, მარტო ქართველობა კი არ შეჰჩერებია იმათ გაზვიადებული იმედით, რუსობაც ასე უყურებს, და თვით მთავრობაც ასე ეპყრობა... იმ მიზეზით, რომ ჩვენს საერო საქმეებს ჯერ საკუთარი წყობა და მართვა არ მიჰნიჭებია, ჩვენი საერო ინტერესების ტვირთი ამ ჟამად ჩვენგან ამორჩეულ პირებს აწევს ზურგზე. მათ ხელშია—ან მათ ხელში უნდა იყოს —ჩვენი წარსულის განძის დაცვა, ჩვენი ეხლანდელი შრომის წინამძღვრობა, ჩვენს მომავალ ბედზე მზრუნველობა. ამ მძიმე ტვირთს და პასუხის გებას კაი მაგარი ბეჭი სჭირია. როგორიც მეთაური გვეყოლება არჩეული, ისეთიც მსვლელობა ექნება ჩვენს საერო საქმეს, და ისეთივე პატივი გველირსება მეზობლებისა და უცხოელებისაგან. შემძლე, გამარჯვებულ, ყველასაგან ნაცნობ ერს უხეირო წარმომადგენელიც რომ ჰყავდეს, ამით მისი ღირსება ბევრად მაინც არ დაიწევს ქვეყნის თვალში: ყველას ესმის, რომ ეს, ალბად, უცაბედი შემთხვევააო; ყველას ახსოვს, რომ ის ერი მაინც დიდი და ძლიერიაო. ჩვენისთანა მივიწყებულ ერს კი დღე და ღამ ის უნდა ახსოვდეს, რომ იმას თუ დაამშვენებს და გაადიდებს რამ, ეს მარტო მაღალღირსების წარმომადგენლების არჩევა იქნება. „მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული“, აი ამას ნიშნავს. ჩვენ იმოდენად მდიდარი არა ვართ დიდებით, ძალით, შეძლებით, რომ მთელი ქვეყნის თვალში არაფერი გვაკლდებოდეს, როცა ჩვენი ერი და ქვეყნის წარმომადგენლად ვიგინდარა გამოდის, რომელიც კი არ ამშვენებს და აბრწყინებს ჩვენს სახელს, უფრო და უფრო სვრის და ამცირებს. უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადო საქმეებისა ისეთი ხასიათისაა, რომ მათი ბედი და უბედობა მთავრობაზეა დამოკიდებული. რა რიდი უნდა ჰქონდეს ამ მთავრობას ჩვენი საქმისა, რა პატივი უნდა სცეს იმან ჩვენს სურვილს თუ თხოვნას, როცა თვით ჩვენს წარმომადგენელს არ შეუძლია თავისი პირად ღირსებით, გონებით და მოქმედებით დაიმსახუროს და დაგვიმსახუროს მთავრობის პატივი, თანაგრძნობა და თანახმობა? უცხოეთის და უცხოელების თვალში ჩვენი წარმომადგენელი მარტო იმით კი არ უნდა ჩანდეს, რომ ჩვენი წარმომადგენელია, თავის თავითაც ცოტათი მაინც ცნობილი უნდა იყოს რითიმე, რომ ყველას ესმოდეს: ქართველები ღირსეულ კაცებს ირჩევენ თავიანთი საქმის მოთაველო, გონიერება დევს მათი არჩევანების საძირკვლად, და არა თვალთმაქცობა ან ცრუ-მორწმუნეობაო. ასე თუ არ იქნა და ვიგინდარები ვირჩიეთ, მათი უძლურება და სისუსტე მალე დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ ქართველები თავის წარმომადგენლებზე ბევრად უფრო სუსტი და უძლური ყოფილანო»...

„ეხლა ეს ვიკითხოთ: განა შესაძლებელია, რომ ამგვარ საჭიროებებზე გულწრფელად და ნაყოფიერად იზრუნოს ისეთმა პირმა, რომელიც თვითონ გამოხტება სიბნელიდგან და საზოგადოებას დაბრმავებით, თუ ოინობით, თავს არჩევინებს“?

„ჩვენს დროში რაკი არჩევანი და კენჭის-ყრა კაცობრიობის სიმართლისა და წესის საძირკვლად დაიდო, არჩევანი სწორედ ისეთ მღვდელ-მოქმედებად უნდა გადიქცეს, როგორც უწინ ლოცვა იყო ტაძარში, ღვთის ნების გასაგებად. მცირე რამ ზიანს ან შეცდომას არჩევნის წესში ნიადაგ და უთუოდ დიდი, რთული უბედურება მოსდევს საზოგადოებისთვის. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ პატიოსან კაცს, რომელსაც თავისი ქვეყანაც უყვარს და არც ცუდი ან პირადი რამ უდევს გულში, უბრალო რამ ჰგონია სწორი წესის დარღვევა არჩევნის დროს. ჩვენშიაც იყო დრო—და ეხლაც ხშირად ხდება ხოლმე—როცა რიგიანი და განათლებული კაცები საძრახ საშუალების ხმარებას როდი თაკილობდნენ კენჭის-ყრის შესახებ «ჩვენი ხალხი ასეთიაო, მართლულობდნენ თავს, ამისთანა ზნეს შესჩვევიაო და სხ. რაკი ჩვენ თვითონ პატიოსნები ვართ და ცუდს არას ვიზამთ, დაე, რა იქნება, რომ ამ ცუდ ზნეს მივყვეთ, ეს უხეირო იარაღი ვიხმაროთო». ამ სოფიზმის წინააღმდეგ იბრძოდენ და იბრძვიან ის ყმაწვილები, რომლებსაც ბუნების კანონების ძალა და დაურღვევლობა კარგად ახსოვთ, „იქნება თქვენ თვითონ ცუდი მიზანი და განზრახვა არა გქონდესთ-რაო, ამბობენ ეს ყმაწვილები, იქნება პირადად თქვენ დიდაც პატიოსანი იყვნეთ, მაგრამ საქმე ამაში როდია. თქვენგან ნახმარ ცუდ საშუალებას, თქვენს მერმე, სხვაც მოიხმარს, იმისთანა სხვა, ვისაც თქვენი პატიოსნება არ გამოჰყვება, თქვენის მავნებელი განზრახვით სავსე ექნება გული. თქვენი საქციელი აი იმათ გაუადვილებს ქვეყნის მოტყუებას და დაღუპვას. თქვენ ცუდს სთესთ. იქნება თქვენი ნათესის ნაყოფით თქვენ სარგებლობა არც კი იკადროთ, მაგრამ როგორც კი ეს ნაყოფი თავს ამოჰყოფს და დამწიფდება, ისეთი უღირსები ბევრნი გამოჩნდებიან ჩვენში, ვინც მის მოკრეფას და მითვისებას მოახერხებენო“.

და ბოლოს მშვენიერის ტირადით ამთავრებს ბ-ნი ნიკოლაძე.

„სანამ ჯერ საბოლოოდ არ წამხდარა საქმე, უნდა ვეცადოთ თავშივე მოვსპოთ ის გარყვნილება, რომელიც ეპარება ხოლმე ჩვენებურ კენჭის-ყრას. მთელი ჩვენი მამული, სიკეთე და მომავალი ამაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ეხლა არჩევნის საქმეს ის სიმაღლე, ის სიწმინდე და ღირსება მივცეთ, ურომლისოდ საზოგადოებრივი ცხოვრება დამხობისკენ გაქანდება. ამას ჩვენი საზოგადოება მარტო მაშინ მოახერხებს, როცა დაეჩვევა შუბლ-შეკრულად, მრისხანედ და შეუპოვრად ზურგი შეაქციოს ყოველ იმ პირს, ვინც ჩირქს სცხებს, რყვნის და ღირსეული სიწმინდით არ ეპყრობა ეხლანდელი კაცობრიობის სიმართლის საძირკველს—არჩევანს.“

ჯი ფეშტენგლები (ფართუკები) აქვთ აფარებული; მკლავებს ყოლბაღებითვერცხლის აბაზიანითა და სამშაურიანებით იმშვენებენ, შუბლს ფიფინურებით; წელზედ იაფ ფასიანი ქამრები არტყიათ. კვირა-უქმით ფეხზედ ბათინკები და ახალციხური წუღები აცვიათ; სადა დღეში, მუშაობის დროს-კი ქალამნებს იცმენ, როგორც ოსის ქალები. თავს იშვიათად იხურავენ. მაგრამ ქალი რომ გათხოვდება, ჯვრის წერის დროს და ქორწილში უეჭველად თავდახურული უნდა იყოს.

ქურდობა, კაცის-კვლა და სახლების დაწვა აქ ისრე არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენ საქართველოს სხვა მხარეებში. თუ მოხდება ასეთი საქმეები, ისიც იშვიათად თათრებს და სომხებში. ქართველებში-კი ძალიან ძნელად.

ზ. ოქუაშვილი,

**ბასილეთის საზოგადოება** (გურია): ჩვენი საზოგადოება ითვლება ერთს უდიდესს საზოგადოებად მთელს ოზურგეთის მაზრაში: მცხოვრებლების რიცხვი 700-ს კომლს აღემატება. ადგილის მდებარეობა მთაგორიანი აქვს, რაიცა ხელს უწყობს ჰაერის სისაღეს და მკვიდრთა ჯანმრთელობას. ჩვენში დგება მდარე ოდესის (იზაბელას) ღვინო, რომელიც ქვევრებში დიდ-ხანს ვერა სძლებს. ამ ბოლოს შემოიღეს არყის ხდა და ეს მდარე ღვინოები სულ არაყად აქციეს. ეს გამოხდილი არაყი გააქვთ ახლო-მახლო ქალაქებში გასასყიდად. თუმცა არაყის ხდას ერთის მხრით სარგებლობა მოაქს მკვიდრთათვის, სამაგიეროდ, კაი თვალსაჩინო ზარალიც მოაქს: სულ ერთიანად გააწყვეს შუშის სინსილა.

აქაურები ამასთანავე ზედ-მიწევნით მისდევენ აბრეშუმის მოყვანას.— განათლების საქმეშიაც უკან არ დაიხიეს ბასილეთლებმა და დაუყონებლივ ააგეს ორ-სართულიან სახლი, სადაც გამართულია ორ-კლასიანი სამინისტრო-სკოლა, და სწავლის მსურველთა სიმრავლის გამო, ეხლა კიდე ცდილობენ მესამე განყოფილებაც მიუმატონ. ხუთიოდე ახალ-გაზდა ჩვენის საზოგადოებიდგან სწავლობს სასულიერო სემინარიაში, ორი სოსტატოში და ორიც სამეურნეო სასწავლებელში, ბევრნი სხვა ოზურგეთის სასწავლებლებში. ჩვენებურები დიდი-ხანია, გრძნობდნენ წიგნთსაცავის საჭიროებას, რომელიც უკდავების წყაროს მაგიერობას გაუწევდა ჩვენს სოფელს, მაგრამ დღემდე ეს საქმე ვერ განხორციელდა. ამ სამის წლის წინად მოლაპარაკება გვქონდა სამკითხველოს დაარსების შესახებ და კიდეც დაინიშნა წევრები, რომელთაც შეაგროვეს რვა თუმნამდე ფული. სწორედ ამ დროს აღიძრა სურვილი «გურიის სახალხო წიგნთ-საცავის» დაარსებისა და ეს ფული შეუერთეს იმ საერთო თანხას, რომლითაც უნდა დაარსებულიყო ხსენებული „წიგნთსაცავი“. ჩვენ გვეგონა, სამკითხველოს ცოტა დაახლოვებით დააარსებდნენ, რომ ყველას შეეძლება სარგებლობა, მაგრამ ათის ვერსის მანძილზედ დაგვაშორეს და, ხომ მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ კაცს ხელში რომ მიაწოდო წიგნი, მაშინაც ძნელად წაიკითხავს, არა თუ ათი ვერსის მანძილზედ წავიდეს წიგნის საძებრად. ახლა, როგორც გავიგეთ კ. თავართქილაძეს განუზრახავს დაბა ხიდისთავში წიგნთ-საცავის დაარსება. ამ საქმეს ჩვენში, იმედია, ბევრი შემწე აღმოუჩნდება და ვისურვოთ, რომ მას თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანოს.

ი. ოცხანელი

## ნარკვევი

ამას წინად შვეიცარიაში მისულა ლონდონიდან ერთი ინგლისელი მეცნიერი ოლივერ ვორდროპი, რომელსაც ამ ექვსი წლის წინად საქართველოში უმოგზაურნია და ინგლისურად დაუსტამბავს წიგნი ჩვენი ქვეყნის შესახებ. მას შეუტყვია ლონდონში ადრესი შვეიცარიაში მცხოვრებთ ზოგიერთ ახალგაზდა ქართველთა და სხვათა შორის იმათაც გაცნობია. ვორდროპს თურმე ჰყავს 24 წლის და. „ამ ახალგაზდა მანდილოსანს ისე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, რომ თავისუფლად კითხულობს და თარგმნის ქართულ თხზულებებს, წარმოიდგინეთ ძველ ხუცურ ხელთ-ნაწერებსაც-კი, მაგალ. ტფილისიდან მიუღია ძველი ხელთ-ნაწერი რომელიღაც წმინდანის ცხოვრება (მგონი, დიონისი არეოპაგელისა, დაბეჯითებით არ ახსოვს ოლივერს) და თარგმნას შესდგომია. აღნიაშვილის მიერ გამოცემული ზღაპრები უკვე გამოვიდა ინგლისურად. იბეჭდება და ჩქარა გამოვა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი. თითო ცალი ღირს ოცი მანეთი (კარგათ წაიკითხეთ, 20 მანეთი). ნამეტანი მდიდრული გამოცემაა, რაღაც ფერადი ასოებით იბეჭდება. ამ ფასიანი გამოცემა იქმნება მხოლოდ 250 ცალი. ესენი თითქმის ყველა წინდაწინ არის გაყიდული. ორ-სამ მინისტრებსაც უთხოვიათ ოლივერისათვის, უთუოდ მოგვიტანეთ როგორც-კი გამოვიდესო. ეს 250 ცალი უმაღლეს არისტოკრატიისათვის არის დანიშნული. უბრალო მკითხველებისათვის გამოვა იაფ-ფასიანი. ამას გარდა „ვეფხისტყაოსანს» თარგმნის. ნახევარი გადაუთარგმნია სიტყვა-სიტყვით, პროზად, შემდეგ ჰსურს გალექსვა. ოლივერის აზრით უეჭველად საჭიროა ლექსად დაიბეჭდოს; მხოლოდ მაშინ დააფასებს ინგლისის საზოგადოებაო, თუმცა გალექსვა ძალიან უჭირს თურმე.

„სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი გადმოუთარგმნია რუსულიდან (ცაგარლის გამოცემა) ოლივერს; მხოლოდ მის დას ქართულ გამოცემასთან შეუდარებია და შეუსწორ-შამოუსწორებია. თვითონ ოლივერმა ქართული არ იცის. ამ ერთი კვირის წინად ყაზბეგის თხზულებები მიუღია ტფილისიდან. გადათარგმნას აპირებს. ეს ახალგაზდა ქალი საქართველოს ცხოვრებას ძლიერ ადევნებს თვალ-ყურს, გამოწერილი აქვს „ივერია“ და «მოამბე“ და ნატრობს როდის ვეღირსები საქართველოს ნახვასო. ოლივერს თან ახლავს ახალგაზდა სტუდენტი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, შვილი გერცოგის, დედოფლის ახლო ნათესავი. ამასაც აღძვრია სურვილი საქართველოს ნახვისა, სულ იმას მეკითხება: ქართული ენა ადვილი შესასწავლია, თუ ძნელიო? აქ დარჩებიან კიდევ სამ კვირას, შემდეგ უკან დაბრუნდებიანო“ — იწერება ჩვენი შვეიცარიელი კორრესპონდენტი. („კვალი“).

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ პატარა შენიშვნას, შესახებ ბ. დ. დიდ-ღიახველის წერილისა, რომელიც იყო მოთავსებული „ივერიის“ მე-99 ნომერში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბ-ნი დიდ-ღიახველი თავის წერილით აუწყებს საზოგადოებას, რომ ვითომც მე ვიღაც ორი ყმაწვილი, ერთი 13 წლისა და მეორე 7 წლისა, რომელნიც ტფილისიდგან გორში მიემგზავრებოდნენ მარტოდ, უპატრონოდ, ავჭალაში ვაგონიდგან გადმომეგდოს უბრალო იმათგანი, რადგანაც ბილეთი არ ჰქონდა. მატარებლიდგან გადმოგდებულ ყმაწვილს უფროსი ძმაც თან გაჰყოლია და ამ ნაირად შეშინებული და გულ-გახეთქილი ყმაწვილები ისევ ტფილისში დაბრუნებულან ფეხით დედ-მამასთან.

როგორც მერე გავიგე ეს ამბავი მართლაც მომხდარა, მაგრამ ჭეშმარიტად არავინ არ იცის როგორ იყო და ანკი ჩაიდინა მართლაც ასეთი სისაძაგლე. თუმცა ავტორი წერილისა პირდაპირ არ იხსენიებს ჩემს გვარს, მაგრამ პირველი და უკანასკნელი ასო ნაჩვენები აქვს წერილში და აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ბ-ნ დიდ-ღიახველს მე ვყავვარ სახეში, რადგანაც ნაჩვენები ასოებით არც ერთ კონდუქტორის გვარი არ იწყება ჩემს გარდა.

სწორედ ძალიან სამწუხაროა ბ-ნ დიდ-ღიახველის ასეთი აჩქარება საქმის სინამდვილის გაგებამდის, მით უმეტეს, რომ ასეთი ცილის დაწამება ყოველ პატიოსნების მქონე კაცისათვის შეამძრწუნებელია. მერე რა საბუთით მცხებს წერილის ავტორი ჩირქს? თურმე ნუ იტყვით საბუთად ისა ჰქონია, რომ ყმაწვილებს მისთვის უამბნიათ, ჩვენი გადმომგდები კონდუქტორი მაღალი იყოო, და რადგანაც მე მაღალი ვარ დანამდვილობის, ჩამდენიც მე ვყოფილვარ, მაშ, ვინ იქნებოდა. აი რა ჰქონია საბუთათ ბ-ნ დიდ-ღიახვის პირელს, რომ გაზეთში ჩემი სახელი და გვარი გამოეცხადებინა და უბრალოდ უმიზეზოდ შეებღალა ჩემი პიროვნება.

კონდუქტორი ა. მ—ძე

## დეპეშა

21 მაისი

**სოფია**. მიტროპოლიტი კლიმენტი დღეს ჩამოვა ტირნოვოს და დღის ამბით ოფიციალურად ჩაიბარებს თავისს თანამდებობას. მთავრობამ უკვე განკარგულება გასცა, რომ მიტროპოლიტს ტაძრის გასაღები ჩააბარონ. ქალაქის კომენდანტმა აღკრძალა ყოველგვარი შეკრებილებანი; სტოილოვმა უბრძანა განათავისუფლონ ყველა ადმინისტრატიულის წესით აქა-იქ დაბინავებულნი; ყველგან, პოლიციის ნაცვლად, ჯარი სდგას; სოფიის ყველა უბნებში ჯარია. გუშინ დილით დიდი მანიფესტაციები იყო სტამბულოვის წინააღმდეგ, სტუდენტები იმის თავის მოკვეთასაც-კი თხოულობდნენ, ახალს სამინისტროს სიხარულით ეგებებიან; ყავახანებსა და სასტუმროებში სწვამენ სტამბულოვისა და პეტკოვის სურათებს, ხალხს რამდენჯერმე შეტაკება მოუხდა პოლიციასთან, რომელმაც თოფის სროლაც დაიწყო. პოლიციის მაგიერობას ცხენოსანი ჯარი ეწევა. სტამბულოვი ხმასავრცელებს, რომ პრინცი საზღვარ-გარედ მიდისო. პროვინციიდგან ცუდი ამბები მოდის; ხმა დადის, რომ იქ დიდი არეულობაა და ქვეყნის მმართველად ნამყოფთა დიდნი წინააღმდეგნი არიანო. ახალმა სამინისტრომ ბრძანება გასცა განათავისუფლონ საპოლიტიკო პატიმრები.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისი

| | მყიდველ. ფასი. | გამყიდ. ფასი. | გაყიდულ. ფასი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,51 | 7,53 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 150 | 150½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 248 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 191¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუზსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

მოაბარაკენო

თელავში, ნადიკვარზედ მთელი ზაფხულს ქირით იძლევა ოთხი ოთახს ავეჯეულობით, სამზარეულოთითავის ქაბ-ჰურჯიანად. აქვს საკუთარი ეზო, სადაც მოთავსებულია პატარა ბაღჩა ჩრდილოიანი ხეებით, და წმინდა და ცივი წყლით. ფასი სამ თვეს ათი თუმანი ფული წინათვე. ადრესი: И. Зарапишвили.

(4—3)

კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიამ გამოსცა

რამდენიმე მოთხრობა

(ხუთი)

ე. ნინოშვილისა

იყიდება ყველგან, სადაც-კი ქართულის წიგნებისვაჭრობა არის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| ოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |